აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
Academic Board of Akaki
Tsereteli State University

თამარ მეფის ქ. № 59
მის: 4600, საქართველო, ქუთაისი

ტელ: (+995 331) 4 21 73 ფაქსი (+995 331) 4 38 33
ელ.ფოსტა atsu@atsu.edu.ge

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
აკადემიური საბჭო

6 ივნისი, 2022

**დადგენილება №61 (21/22)**

**საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის, ემერიტუსის, მასწავლებლის, ხელშეკრულებით და საათობრივი წესით მოწვეული სპეციალისტების წლიური სასწავლო, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო-მეთოდური დატვირთვის ნორმების დამტკიცების შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და უნივერსიტეტის წესდების შესაბამისად, **აკადემიური საბჭო ადგენს:**

1. დამტკიცდეს აწსუ აკადემიური პერსონალის, ემერიტუსის, მასწავლებლის, ხელშეკრულებით და საათობრივი წესით მოწვეული სპეციალისტების წლიური სასწავლო, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო-მეთოდური დატვირთვის ნორმები თანდართული ფორმით.

2. დადგენილება ამოქმედდეს 2022 წლის 1 სექტემბრიდან.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე, რექტორი: პროფ. როლანდ კოპალიანი

**მუხლი 1.**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის, ემერიტუსის, მასწავლებლის, ხელშეკრულებით და საათობრივი წესით მოწვეული სპეციალისტების სასწავლო, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო-მეთოდური დატვირთვის ნორმები განსაზღვრავს უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის, ემერიტუსის, მასწავლებლის, ხელშეკრულებით და საათობრივი წესით მოწვეული სპეციალისტების სასწავლო, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო-მეთოდური დატვირთვის ნორმებს, შეფასების პირობებს, კერძოდ, სასწავლო წლის განმავლობაში მათი წლიური დატვირთვის ოდენობას, სასწავლო, სასწავლო-მეთოდურ და სამეცნიერო-კვლევით მუშაობასთან დაკავშირებული ცალკეული აქტივობის საათობრივ ნორმატივებს.

**მუხლი 2.**

2.1. აკადემიური პერსონალის წლიური დატვირთვა მოიცავს სასწავლო-საკონტაქტო, სასწავლო-მეთოდურ და სამეცნიერო-მეთოდურ მუშაობას და შეადგენს **1500 საათს**. მათ შორის:

ა) **500 სთ.** - სასწავლო დატვირთვა (სასწავლო-საკონტაქტო, სასწავლო-მეთოდური, სასწავლო - ორგანიზაციული). დასაშვებია სასწავლო-საკონტაქტო სამუშაოს ნორმატივის ცვლილება არაუმეტეს **3%-ის** ფარგლებში;

ბ) **1000 სთ**. - სამეცნიერო-მეთოდური მუშაობა;

2.2. ხელშეკრულებით მოწვეული სპეციალისტის დატვირთვის წლიური მოცულობა განისაზღვროს **1000 სთ**-ს ოდენობით. მათ შორის:

ა) **500 საათი** სასწავლო-მეთოდური დატვირთვა. დასაშვებია სასწავლო-საკონტაქტო სამუშაოს ნორმატივის ცვლილება არაუმეტეს **3%-ის** ფარგლებში;

ბ) **500 საათი** სამეცნიერო-მეთოდური მუშაობა;

2.3. 2014 წლიდან არჩეული ემერიტუსის წლიური დატვირთვა განისაზღვროს - **630 სთ**-ს ოდენობით. მათ შორის:

ა) **30 სთ.** სასწავლო - საკონტაქტო სამუშაო; დასაშვებია სასწავლო-საკონტაქტო სამუშაოს ნორმატივის ცვლილება არაუმეტეს 3%-ის ფარგლებში;

ბ) **600 სთ.** სამეცნიერო-მეთოდური მუშაობა;

2.4. მასწავლებლის წლიური სასწავლო დატვირთვის მოცულობა განისაზღვროს **600 სთ**-ს ოდენობით. მათ შორის **420 სთ.** სასწავლო-საკონტაქტო სამუშაო. დასაშვებია სასწავლო-საკონტაქტო სამუშაოს ნორმატივის ცვლილება არაუმეტეს **3%-ის** ფარგლებში;

2.5 აკადემიურ საგანმანათლებლო პროგრამებზე, მხოლოდ საათობრივი ანაზღაურების წესით მოწვეული სპეციალისტის სასწავლო-მეთოდური დატვირთვის მოცულობა განისაზღვროს არანაკლებ **30** საათისა და არაუმეტეს **700** საათისა.

2.6. აკადემიური პერსონალის, ემერეტუსის, მასწავლებლის და ხელშეკრულებით მოწვეული სპეციალისტების წლიური დატვირთვის შემადგენელი კომპონენტებია:

**ა) სასწავლო დატვირთვა:**

ა.1. <u>**სასწავლო-საკონტაქტო:**</u>

ა.1.1. **აუდიტორიული მუშაობა:** ლექცია, ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული და ლაბორატორიული მეცადინეობა;

ა.1.2. საკვალიფიკაციო ნაშრომის ხელმძღვანელობა: დოქტორანტის ხელმძღვანელობა (არაუმეტეს **20 სთ.** ერთ დოქტორანტზე სასწავლო წლის განმავლობაში), მაგისტრანტის ხელმძღვანელობა (არაუმეტეს **10 სთ.** ერთ მაგისტრანტზე სასწავლო წლის განმავლობაში);

ა.2. <u>**სასწავლო-მეთოდური:**</u> წერითი ნაშრომის გასწორება; სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობა (კონსულტაცია); ტესტების მომზადება, გამოცდების ჩატარება და სტუდენტის შეფასება.

ა.3. <u>**სასწავლო-ორგანიზაციული:**</u> დეპარტამენტის პროგრამული მიმართულების ხელმძღვანელობა სასწავლო წლის განმავლობაში (**40 სთ.);** დოქტორანტის ხელმძღვანელობა (არანაკლებ **60 სთ.** ერთ დოქტორანტზე სასწავლო წლის განმავლობაში); მაგისტრანტის ხელმძღვანელობა

(**არანაკლებ 30 სთ.** ერთ მაგისტრანტზე სასწავლო წლის განმავლობაში); სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული სასემინარო ნაშრომის ხელმძღვანელობა; საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელობა; სადოქტორო სასემინარო ნაშრომისა და კოლოქვიუმის რეცენზირება, სასწავლო, საწარმოო, პედაგოგიური, პროფესიული, საველე და სხვა ტიპის პრაქტიკის ხელმძღვანელობა და ჩატარება, კურატორობა;

**ბ) სამეცნიერო-მეთოდური მუშაობა:**

- მონოგრაფიის მომზადება, გამოცემა, თარგმნა, სამეცნიერო რედაქტირება, რეცენზირება;
- სახელმძღვნელოს ან სალექციო კურსის მომზადება-გამოცემა, განახლება, გამოცემა, რეცენზირება, თარგმნა, სამეცნიერო რედაქტირება;
- საგანმანათლებლო პროგრამის (მათ შორის ერთობლივი და უცხოენოვანი) მომზადება, განახლება;
- მეთოდური ხასიათის ერთობლივი კვლევების განხორციელება;
- სასწავლო მეთოდური ნაშრომის შექმნა;
- სილაბუსის მომზადება და განახლება;
- PBL ქეისების მომზადება და განახლება;
- სამეცნიერო სტატიის მომზადება რეიტინგულ ჟურნალებში, გამოცემა, თარგმნა, რეცენზირება;
- სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზება-ხელმძღვანელობა, მონაწილეობა;
- სამეცნიერო გამოცემების რედკოლეგიის წევრობა;
- სტუდენტთა მომზადება სამეცნიერო კონფერენციებისათვის, სტუდენტთა სამეცნიერო წრეების ხელმძღვანელობა;
- სამეცნიერო საგრანტო პროექტის წარდგენა, მონაწილეობა;
- საპატენტო-სალიცენზიო საქმიანობა;
- სადოქტორო და სამაგისტრო ნაშრომის რეცენზირება, შეფასება;
- უნივერსიტეტის საბჭოების - აკადემიური, წარმომადგენლობითი, ფაკულტეტის საბჭოების წევრობა / მდივნობა;
- სადოქტორო დისერტაციის საფაკულტეტო საექსპერტო კომისიის წევრობა;
- აკადემიური, პროფესიული, ერთსაფეხურიანი, მასწავლებლის მოსამზადებელი ერთწლიანი საგანმანათლებლო პოგრამის, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა, დამატებითი (ე.წ. Minor) პროგრამების მომზადება და წარდგენა საუნივერსიტეტო პროცედურების დაცვით;

**დ) სხვა აქტივობები**: დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით მონაწილეობა სხვადასხვა სახის საუნივერსიტეტო, რესპუბლიკურ და საერთაშორისო პროფესიულ სემინარებში, ტრენინგებში და ვებინარებში; სტაჟირების გავლა და სხვა მსგავსი აქტივობა, რომელიც დასტურდება შესაბამისი სერთიფიკატის, დიპლომის და ა.შ. წარმოდგენით; სასწავლო პროცესთან პირდაპირ და უშუალოდ დაკავშირებული სხვადასხვა ტიპის აქტივობა (მაგ. ურთიერთდასწრება და სხვ);

***შენიშვნა: აკადემიური პერსონალის და ხელშეკრულებით მოწვეული სპეციალისტების სასწავლო და სამეცნიერო-მეთოდური წლიური დატვირთვის ნორმები კომპონენტების მიხედვით მოცემულია დანართში №1.***

**მუხლი 3.**

**3.1. დეპარტამენტების, მიმართულებების ხელმძღვანელები:**

ა) სასწავლო წლის დაწყებამდე უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული სასწავლო, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო-მეთოდური წლიური დატვირთვის ნორმატივების მიხედვით ადგენს და ამტკიცებს დეპარტამენტის სხდომაზე დეპარტამენტის აკადემიური პერსონალის ინდივიდუალურ სამუშაო გეგმას და წარუდგენს ფაკულტეტის დეკანს ფაკულტეტის საბჭოზე განსახილველად და დასამტკიცებლად;

ბ) სასწავლო წლის დასასრულს დეპარტამენტის აკადემიური პერსონალის მიერ სასწავლო, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო-მეთოდური წლიური დატვირთვის შესრულების საკითხს განიხილავს

დეპარტამენტის სხდომაზე და წარუდგენს ანგარიშს ფაკულტეტის დეკანს ფაკულტეტის საბჭოზე განსახილველად და დასამტკიცებლად;

3.2. **ფაკულტეტის დეკანი:**

ა) სასწავლო წლის დაწყებამდე ფაკულტეტის საბჭოზე განიხილავს და ამტკიცებს დეპარტამენტების მიერ წარმოდგენილ დეპარტამენტის აკადემიური პერსონალის ინდივიდუალურ სამუშაო გეგმას უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს სასწავლო, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო-მეთოდური წლიური დატვირთვის ნორმატივებთან შესაბამისობაში და წარუდგენს უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს.

ბ) სასწავლო წლის დასასრულს ფაკულტეტის საბჭოზე განიხილავს და ამტკიცებს დეპარტამენტების აკადემიური პერსონალის მიერ სასწავლო, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო-მეთოდური წლიური დატვირთვების შესრულებას და წარუდგენს უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს.

3.3. **სასწავლო პროცესის მართვის სამსახური:**

ა) სასწავლო პროცესის მართვის სამსახური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული სასწავლო, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო-მეთოდური ნორმატივების შესაბამისად ხელს უწყობს დეპარტამენტების მიხედვით აკადემიური პერსონალის, ხელშეკრულებით და საათობრივი ანაზღაურების წესით მოწვეული სპეციალისტების სასწავლო და სამეცნიერო ინდივიდუალური დატვირთვების მომზადებას;

ბ) სასწავლო წლის დაწყებამდე ფაკულტეტის დეკანების მიერ დამტკიცებულ სასწავლო ინდივიდუალურ დატვირთვებს ამოწმებს და მონიტორინგს უტარებს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის სასწავლო მეთოდური განყოფილება და წარუდგენს რექტორის მოადგილეს დასამტკიცებლად;

გ) უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის, სასწავლო მეთოდური განყოფილება, სასწავლო წლის ბოლოს, განიხილავს და აფასებს აკადემიური პერსონალის, ემერიტუსის, მასწავლებლის, ხელშეკრულებით და საათობრივი წესით მოწვეული სპეციალისტების მიერ სასწავლო წლის მანძილზე სასწავლო, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო-მეთოდური წლიური დატვირთვის შესრულების შედეგებს და წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს;

დ) სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, სასწავლო წლის განმავლობაში (არანაკლებ სემესტრში ერთხელ), ფაკულტეტებზე არსებული „აქტიური“ სტატუსის მქონე სტუდენტთა ფაქტიური ოდენობის შესაბამისად, ახორციელებს აკადემირი პერსონალის, ემერეტუსის და ხელშეკრულების წესით მოწვეული პირების ინდივიდუალური სამუშაო გეგმის კორექტირებას და წარუდგენს ბრძანებით დასამტკიცებლად რექტორის მოადგილეს.

ე) სასწავლო პროცესის მართვის სამსახურმა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან და უნივერსიტეტის კვლევის მხარდაჭერისა და განვითარების ცენტრთან კოორდინირებით, ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით და უნივერსიტეტის რექტორის თანხმობით, დეპარტამენტის აკადემიური პეროსონალის სამეცნიერო-მეთოდური მუშაობის შედეგების ხარისხობრივი შეფასების მიზნით, შეიძლება შექმნას სპეციალური კომისია.

**მუხლი 4.**

4.1. აკადემიური პერსონალის მიერ წლიური სასწავლო, სასწავლო-მეთოდური, სამეცნიერო-მეთოდური დატვირთვის, ამ დადგენილების მე-2 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების გადაჭარბებით შესრულების შემთხვევაში, ნორმატივს ზევით არსებული ზედმეტი საათები გათვალისწინებული იქნას მომდევნო სასწავლო წლის სამეცნიერო-მეთოდურ დატვირთვაში.

4.2 აკადემიური პერსონალის მიერ წლიური სამეცნიერო-მეთოდური დატვირთვით შესრულებული სამუშაოს მოცულობა, ყოველწლიურად, თუ გადააჭარბებს **1800** საათს, შესრულებული სამუშაოს ხარისხობრივი ანალიზისა და შეფასების საფუძველზე, ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით, ფაქტობრივად არსებული ფინანსური რესურსის ფარგლებში შესაძლებელია აკადემიური პირის ფინანსური წახალისება.

4.3 უნივერსიტეტის აფილირებული აკადემიური პერსონალის მიერ ავტორობით/თანავტორობით უნივერსიტეტის სახელით გამოქვეყნებულ მაღალრეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალებში, რომელიც ინდექსირებულია SCOPUS ან WEB of Science ბიბლიომეტრიულ ბაზებში გაიცემა ჯილდო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს შესაბამისი დადგენილების საფუძველზე.

**მუხლი 5.**

5.1. აკადემიური პერსონალის, ემერიტუსის, მასწავლებლის, ხელშეკრულებით და საათობრივი ანაზღაურების წესით მოწვეული სპეციალისტების მიერ ამ წესით გათვალისწინებული სასწავლო, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო-მეთოდური დატვირთვის მინიმალური ოდენობის არასაპატიო მიზეზით შეუსრულებლობის შემთხვევაში, პირის მიმართ გასატარებელი სანქციები რეგულირდება აწსუ-ს შინაგანაწესითა და მათთან გაფორმებული ხელშეკრულებით;

5.2. დადგენილი ნორმებით დაგეგმილი წლიური დატვირთვის მოცულობის შემცირების შემთხვევაში, ანაზღაურება გაიცემა ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს მოცულობის შესაბამისად;

5.3. აწსუ-ში დადგენილი ნორმებისგან განსხვავებით, იმ აკადემიური პირის წლიური დატვირთვის ფორმირებისას, რომლის აკადემიური და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შედეგები მნიშვნელოვანია პროგრამული მიმართულებების განვითარებისთვის, გამოწვეული თანხობრივი სხვაობა შესაძლებელია დაიფაროს, შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით, ფაკულტეტის ფაქტობრივად არსებული ფინანსური რესურსის ფარგლებში;

5.4. დარგის პროფილის მიხედვით, იმპაქტ-ფაქტორის ჟურნალების რეიტინგული სიის პირველ **10%-ში** (რომელიც დგინდება ყოველწლიურად) გამოქვეყნებულ ყოველ სტატიაზე (სტატიის დაბეჭდვის წლის შესაბამის სასწავლო წელს) აკადემიურ პერსონალს შესრულებულად ჩაეთვალოს სამეცნიერო - მეთოდური მუშაობა **1000 სთ-ის** მოცულობით. დეპარტამენტის ხელმძღვანელის მიმართვის საფუძველზე კონკრეტული ჟურნალის ციტირების ინდექსის შესახებ დადასტურებას, ყოველი კონკრეტული წლისათვის ახდენს აწსუ „კვლევის მხარდაჭერისა და განვითარების ცენტრი“.

5.5. დარგის პროფილის მიხედვით, იმპაქტფაქტორის მქონე ჟურნალებში გამოქვეყნებულ ყოველ სტატიაზე (სტატის დაბეჭდვის წელს) აკადემიურ პერსონალს შესრულებულად ჩაეთვალოს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა **900 სთ-ის** მოცულობით. დეპარტამენტის ხელმძღვანელის მიმართვის საფუძველზე კონკრეტული ჟურნალის ციტირების ინდექსის შესახებ დადასტურებას, ყოველი კონკრეტული წლისათვის ახდენს აწსუ „კვლევის მხარდაჭერისა და განვითარების ცენტრი“.

5.6. 2022-2023 სასწავლო წლიდან უნივერსიტეტის აფილირებული აკადემიური პერსონალს ავტორობით/თანავტორობით უნივერსიტეტის სახელით გამოქვეყნებულ მაღალრეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალებში, რომელიც ინდექსირებულია SCOPUS ან WEB of Science ბიბლიომეტრიულ ბაზებში, სამეცნიერო - კვლევითი მუშაობა ჩაეთვალოს არანაკლებ **1250 საათის** მოცულობით. დეპარტამენტის ხელმძღვანელის მიმართვის საფუძველზე კონკრეტული ჟურნალის ციტირების ინდექსის შესახებ დადასტურებას ყოველი კონკრეტული წლისათვის ახდენს აწსუ „კვლევის მხარდაჭერისა და განვითარების ცენტრი“, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს შესაბამისი დადგენილების საფუძველზე.

**მუხლი 6.**

თუ ერთ კონკრეტულ სამუშაოს, რომლისთვისაც გათვალისწინებულია წლიური მეთოდური და სამეცნიერო დატვირთვის საათები, ასრულებს ორი ან მეტი პირი, დატვირთვის საათები გადანაწილდება შესრულებული სამუშაოს პროპორციულად და აისახება დეპარტამენტის სხდომის შესაბამის ოქმში.

**მუხლი 7.**

ამ დადგენილებით განსაზღვრული პერსონალის ნორმირებული სამუშაო დროის ხანგრძლივობა უნივერსიტეტში არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 40 საათს.

<u>დანართი №1</u>

**აკადემიური პერსონალის, ემერიტუსის, მასწავლებლის და ხელშეკრულებით მოწვეული სპეციალისტების სასწავლო, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო-მეთოდური დატვირთვის ნორმები**

1. **საგანამანათლებლო პროგრამის ფარგლებში მონოგრაფიის:**
   ა) მომზადება-გამოცემა - 1 ნაბეჭდი თაბახი (A5 ზომის 16 გვერდი) - **75 სთ**, მაგრამ არაუმეტეს **750 სთ-სა** წლის განმავლობაში;
   ბ) თარგმნა - 1 ნაბეჭდი თაბახი (A5 ზომის 16 გვერდი) - **50 სთ**, მაგრამ არაუმეტეს 500 სთ-სა წლის განმავლობაში.
   გ) სამეცნიერო რედაქტირება - 1 ნაბეჭდი თაბახი (A5 ზომის 16 გვერდი) - **30 სთ**, მაგრამ არაუმეტეს **400 სთ-სა** წლის განმავლობაში;
   დ) რეცენზირება - 1 ნაბეჭდი თაბახი (A5 ზომის 16 გვერდი) - **20 სთ**, მაგრამ არაუმეტეს **100 სთ-სა** წლის განმავლობაში.

2. **საგანამანათლებლო პროგრამის ფარგლებში სახელმძღვანელოს ან სალექციო კურსის:**
   ა) მომზადება-გამოცემა (მ.შ. ელექტრონული) – 1 ნაბეჭდი თაბახი (A5 ზომის 16 გვერდი) - **60 სთ**, მაგრამ არაუმეტეს **750 სთ-სა** წლის განმავლობაში ერთ აკადემიურ პირზე;
   ბ) თარგმნა - 1 ნაბეჭდი თაბახი (A5 ზომის 16 გვერდი) - **50 სთ**, მაგრამ არაუმეტეს **500 სთ-სა** წლის განმავლობაში ერთ აკადემიურ პირზე;
   გ) სამეცნიერო რედაქტირება - 1 ნაბეჭდი თაბახი (A5 ზომის 16 გვერდი) - 30 სთ, მაგრამ არაუმეტეს 300 სთ-სა წლის განმავლობაში;
   დ) რეცენზირება - 1 ნაბეჭდი თაბახი (A5 ზომის 16 გვერდი) **20** სთ, მაგრამ არაუმეტეს **100 საათისა** წლის განმავლობაში;
   ე) შევსება-განახლება და გამოცემა (მ.შ. ელექტრონული) - 1 ნაბეჭდი თაბახი (A5 ზომის 16 გვერდი) - **25 სთ**, მაგრამ არაუმეტეს **300 სთ-სა** წლის განმავლობაში ერთ აკადემიურ პირზე;
   ვ) სასწავლო მეთოდური ნაშრომის შექმნა - 1 ნაბეჭდი თაბახი (A5 ზომის 16 გვერდი) - **40 სთ**, მაგრამ არაუმეტეს **250 სთ-სა** წლის განმავლობაში ერთ აკადემიურ პირზე.

3. **საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სამეცნიერო სტატიის**:
   ა) დარგის პროფილის მიხედვით, იმპაქტ-ფაქტორის ჟურნალების რეიტინგული სიის პირველ 10%-ში გამოქვეყნებულ ყოველ სტატიაზე - **1000 სთ;**
   ბ) იმპაქტ - ფაქტორის მქონე სამეცნიერო გამოცემებში გამოქვეყნებულ ყოველ სტატიაზე - **900 სთ;**
   გ) უცხოეთში რეფერირებულ ჟურნალში, გამოქვეყნებულ ყოველ სტატიაზე - 600 **სთ;**
   დ) საქართველოში რეფერირებულ ჟურნალში, გამოქვეყნებულ ყოველ სტატიაზე, რომელიც მიეკუთვნება საერთაშორისო-სამეცნიერო ბაზებს - 1 სტატია **- 600** სთ;
   ე) უცხოეთში რეფერირებულ ჟურნალში გამოქვეყნებულ ყოველ სტატიაზე - **500 სთ;**
   ვ) აწსუ სამეცნიერო შრომების კრებულში გამოქვეყნებულ ყოველ სტატიაზე - **400 სთ.** (არაუმეტეს 2 სტატიისა სასწავლო წლის განმავლობაში);
   **ზ)** უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალში „მოამბე"(საქართველოში რეფერირებული და საერთაშორისო სამეცნიერო ბაზაში განთავსებული) გამოქვეყნებულ ყოველ სტატიაზე - **600 სთ;**
   თ) სხვა აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლების პერიოდულ სამეცნიერო გამოცემებში გამოქვეყნებულ ყოველ სტატიაზე - **400** სთ.
   ი) საქართველოში რეფერირებულ ჟურნალში გამოქვეყნებულ ყოველ სტატიაზე - 1 სტატია - **335 სთ** (არაუმეტეს 3 სტატიისა სასწავლო წლის განმავლობაში);
   კ) რეცენზირება - **20 სთ;**
   ლ) ნამუშევრების წარდგენა/გამოფენა, მოდელების შექმნა/ჩვენება - 1 ნამუშევარი/მოდელი **- 80 საათი;**

4. **საგრანტო პროექტის ფარგლებში:**
   ა) საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებში საგრანტო პროექტის წარდგენა - 1 გრანტისათვის წლის განმავლობაში **150 სთ.** ხელმძღვანელობისათვის, **50 სთ.** მონაწილეობისათვის;
   ბ) საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდში საგრანტო პროექტის წარდგენა - 1 გრანტისათვის წლის განმავლობაში **150 სთ**. ხელმძღვანელობისათვის **40 სთ.,** მონაწილეობისათვის;
   გ) შიდა საუნივერსიტეტო საგრანტო პროექტის წარდგენა - 1 პროექტისათვის წლის განმავლობაში **50 სთ.** ხელმძღვანელობისათვის, **20 სთ.** მონაწილეობისათვის;

5. **საპატენტო-სალიცენზიო საქმიანობის ფარგლებში:**
   ა) გამოგონება საერთაშორისო წარდგენით - **400 სთ;**
   ბ) გამოგონება საქართველოში წარდგენით - **350 სთ;**
   გ) სასარგებლო მოდელის დაპატენტება - **300 სთ;**
   დ) სამრეწველო ნიმუშის დაპატენტება - **150 სთ;**

6. **საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სამეცნიერო კონფერენცია/სიმპოზიუმის:**
   ა) საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის/სიმპოზიუმის ორგანიზება და ხელმძღვანებლობა (1-დან 3 საერთაშორისო მომხსენებელი) - **150 სთ;**
   ბ) საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის/სიმპოზიუმის კომიტეტის წევრობა- (1-დან 3 საერთაშორისო მომხსენებელი) **- 75 სთ;**
   გ) საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის/სიმპოზიუმის ორგანიზება და ხელმძღვანებლობა (3-დან 5 საერთაშორისო მომხსენებელი) **- 300 სთ;**
   დ) საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის/სიმპოზიუმის კომიტეტის წევრობა (3-დან 5 საერთაშორისო მომხსენებელი) **- 150 სთ;**
   ე) საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის/სიმპოზიუმის ორგანიზება და ხელმძღვანებლობა (5-დან 8 საერთაშორისო მომხსენებელი) - **500 სთ;**
   **ვ)** საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის/სიმპოზიუმის კომიტეტის წევრობა (5-დან 8 საერთაშორისო მომხსენებელი) **- 250 სთ;**
   ზ) საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის/სიმპოზიუმის ორგანიზება და ხელმძღვანებლობა (8 და მეტი საერთაშორისო მომხსენებელი) - **1000 სთ;**
   თ) საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის/სიმპოზიუმის კომიტეტის წევრობა (8 -და მეტი საერთაშორისო მომხსენებელი) - **500 სთ;**
   ი) საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის ნაშრომთა კრებულის რედაქტორობა - 1 კონფერენციის ფარგლებში **70 საათი;**
   კ) საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის ნაშრომთა კრებულის სარედაქციო საბჭოს წევრობა - 1 კონფერენციის ფარგლებ**ში 30 საათი;**
   ლ) ეროვნული სამეცნიერო კონფერენციის ნაშრომთა კრებულის რედაქტორობა - 1 კონფერენციის ფარგლებში **40 საათი;**
   მ) ეროვნული სამეცნიერო კონფერენციის ნაშრომთა კრებულის სარედაქციო საბჭოს წევრობა - 1 კონფერენციის ფარგლებში **15 საათი;**
   ნ) საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე/სიმპოზიუმზე მოხსენების მომზადება და გამოქვეყნება საერთაშორისო-სამეცნიერო ბაზისადმი მიკუთნებულ წყაროებში - 1 მოხსენება **- 300 სთ;**
   ო) საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე/სიმპოზიუმზე მოხსენების მომზადება და გამოქვეყნება - 1 მოხსენება - **200 სთ;**
   პ) საერთაშორისო კლინიკურ კვლევებში ჩართულობა, მკურნალობის მეთოდის შექმნა და სტატიის გამოქვეყნება -**300 სთ;**

რ) ეროვნული კონფერენციის/სიმპოზიუმის ორგანიზება და ხელმძღვანელობა - 1 კონფერენციის ფარგლებში - **150 სთ**;

ჟ) ეროვნულ სამეცნიერო კონფერენციაზე/სიმპოზიუმზე მოხსენების მომზადება და გამოქვეყნება - 1 მოხსენება **- 150 სთ;**

ს) საუნივერსიტეტო ადგილობრივი სამეცნიერო კონფერენციის მუშაობის ორგანიზება და ხელმძღვანელობა - 1 კონფერენციის ფარგლებში - **80 სთ;**

ტ) საუნივერსიტეტო ადგილობრივი სამეცნიერო კონფერენციაზე/სიმპოზიუმზე მოხსენების მომზადება და გამოქვეყნება - 1 მოხსენება - **40 სთ;**

7. **სამეცნიერო გამოცემების რედკოლეგიის წევრობა:**

ა) საერთაშორისო გამოცემების რედკოლეგიის წევრობა (მიმდინარე სასწავლო წლისათვის) - **50 სთ;**

**ბ)** ეროვნული გამოცემების რედკოლეგიის წევრობა (მიმდინარე სასწავლო წლისათვის) **- 30 სთ**;

8. **სამეცნიერო კონფერენციისათვის სტუდენტის მომზადება:**

ა) საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომების კრებულში გამოქვეყნებული მოხსენების მომზადების ხელმძღვანელობა - 1 სტუდენტი/მოხსენება - **30 სთ**, წლის განმავლობაში;

ბ) ეროვნულ სამეცნიერო კონფერენციის შრომების კრებულში გამოქვეყნებული მოხსენების მომზადების ხელმძღვანელობა - 1 სტუდენტი/მოხსენება - **20 სთ**, წლის განმავლობაში;

გ) შიდასაუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციის შრომების კრებულში გამოქვეყნებული მოხსენების მომზადების ხელმძღვანელობა - 1 სტუდენტის (არაუმეტეს 5 სტუდენტისა) მოხსენება - **10 სთ**, წლის განმავლობაში;

9. **სტუდენტთა სამეცნიერო-შემოქმედებითი წრის ხელმძღვანელობა - 20 სთ.**

10. **საკვალიფიკაციო ნაშრომის რეცენზირება-ექსპერტიზა:**

ა) სადოქტორო ნაშრომის რეცენზირება- ექსპერტიზა - 1 ნაშრომისათვის - **50 სთ**;

ბ) სამაგისტრო ნაშრომის რეცენზირება - 1 ნაშრომისათვის - **20 სთ**;

11. **საგანმანათლებლო პროგრამის, მათ შორის ერთობლივი:**

ა) სადოქტორო პროგრამის **(მათ შორის ერთობლივი)** მომზადება და წარდგენა სათანადო საუნივერსიტეტო პროცედურების დაცვით - **300 სთ;**

ბ) სამაგისტრო პროგრამის **(მათ შორის ერთობლივი)** მომზადება და წარდგენა სათანადო საუნივერსიტეტო პროცედურების დაცვით - **200 სთ**;

გ) საბაკალავრო პროგრამის მომზადება და წარდგენა სათანადო საუნივერსიტეტო პროცედურების დაცვით - **300 სთ;**

დ) ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის **(მათ შორის ერთობლივი)** მომზადება და წარდგენა სათანადო საუნივერსიტეტო პროცედურების დაცვით - **400 სთ;**

ე) მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მომზადება და წარდგენა სათანადო საუნივერსიტეტო პროცედურების დაცვით - **400 სთ;**

ვ) უცხოენოვანი სადოქტორო, საბაკალავრო, ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის მომზადება და წარდგენა სათანადო საუნივერსიტეტო პროცედურების დაცვით - **500 სთ;**

ზ) უცხოენოვანი სამაგისტრო პროგრამის მომზადება და წარდგენა სათანადო საუნივერსიტეტო პროცედურების დაცვით - **500 სთ;**

თ) მასწავლებლის მოსამზადებელი ერთწლიანი საგანმანათლებლო პროგრამის მომზადება და წარდგენა სათანადო საუნივერსიტეტო პროცედურების დაცვით - **100 სთ**;

ი) ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მომზადება და წარდგენა სათანადო საუნივერსიტეტო პროცედურების დაცვით - **100 სთ**;

კ) პროფესიული პროგრამის მომზადება და წარდგენა სათანადო საუნივერსიტეტო პროცედურების დაცვით - **60 სთ**;

ლ) სილაბუსის:

- მომზადება - **25 სთ;**
- განახლება - **15 სთ.**

მ) PBL ქეისების:

- **მომზადება- 50 სთ;**
- **განახლება - 30 სთ.**

12. **უნივერსიტეტის საბჭოების წევრობა:**

ა) აკადემიური საბჭოს წევრობა - **40 სთ**;

ბ) წარმომადგენლობითი საბჭოს წევრობა - **25 სთ**;

გ) ფაკულტეტის საბჭოს წევრობა - **20 სთ**;

დ) ფაკულტეტის საბჭოს მდივნობა - **15 სთ**;

ე) სადოქტორო დისერტაციის საფაკულტეტო საექსპერტო კომისიის წევრობა - **15 სთ**.

ვ) სადოქტორო დისერტაციის სადისერტაციო კომისიის წევრობა - ყოველ ერთ კომისიაზე - **20 სთ.**

13. **აკადემიური პერსონალის სასწავლო დატვირთვა:**

ა) აკადემიური პერსონალის სასწავლო დატვირთვის მთლიანი მოცულობა - **500 სთ**;

ბ) ლექცია-პრაქტიკული და ლაბორატორიული მუშაობის მინიმალური სავალდებულო საათების რაოდენობა **პროფესორისათვის - 210 სთ;**

გ) ლექცია-პრაქტიკული და ლაბორატორიული მუშაობის მინიმალური სავალდებულო საათების რაოდენობა **ასოცირებული პროფესორისათვის** - **300 სთ**;

დ) ლექცია-პრაქტიკული და ლაბორატორიული მუშაობის მინიმალური სავალდებულო საათების რაოდენობა **ასისტენტ - პროფესორისათვის** - **330 სთ**;

ე) დოქტორანტის ხელმძღვანელობა - **80 სთ** (სასწავლო-საკონტაქტო - არაუმეტეს **20 სთ-სა** და სასწავლო-ორგანიზაციული - არანაკლებ **60 სთ-სა** ერთ დოქტორანტზე გაანგარიშებით). დოქტორანტის თანახელმძღვანელის საათობრივი სარგო განისაზღვრება ხელმძღვანელის წარდგინებისა და აწსუ აკადემიური საბჭოს **2012 წლის 30 ნოემბრის №35(12/13)** დადგენილების საფუძველზე, სადისერტაციო ნაშრომის სპეციფიკის გათვალისწინებით. დოქტორანტის ხელმძღვანელობის სასწავლო-საკონტაქტო დატვირთვის შესრულება მოხდეს მხოლოდ ამ დადგენილების დანართი №1-ის მე-13 მუხლით განსაზღვრული აკადემიური პერსონალის სასწავლო დატვირთვის მთლიანი მოცულობის სრულად შესრულების შემდეგ.

ვ) მაგისტრანტის ხელმძღვანელობა - **40 სთ;** (სასწავლო-საკონტაქტო - არაუმეტეს **10 სთ-სა** და სასწავლო-ორგანიზაციული - არანაკლებ **30 სთ-სა** ერთ მაგისტრანტზე).

ზ) აკადემიური პროგრამის (მათ შორის ერთობლივი და უცხოენოვანი) ხელმძღვანელობა სასწავლო წლის განმავლობაში - **300 სთ;**

თ) Minor პროგრამის ხელმძღვანელობა სასწავლო წლის განმავლობაში **- 20 სთ;**

ი) დეპარტამენტის პროგრამული მიმართულების ხელმძღვანელობა (რექტორის შესაბამისი ბრძანებით დანიშვნის შემთხვევაში) - **40 სთ**;

კ) სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული სასემინარო ნაშრომის და კოლოქვიუმის:

კ.1. სასემინარო ნაშრომის ხელმძღვანელობა (**1 სტუდენტზე)** - **30 სთ** (მ.შ. სასწავლო -საკონტატო არაუმეტეს **10 საათისა და სასწავლო ორგანიზაციული-არანაკლებ 20 საათისა)**;

კ.2.სასემინარო ნაშრომის რეცენზენტობა (1 სტუდენტზე) - **20 სთ;**

კ.3. კოლოქვიუმის რეცენზირება (1 სტუდენტზე) -**25 სთ;**

ლ) საგამოცდო დავალების მომზადება/განახლება, გამოცდის ჩატარება/საგამოცდო ნაშრომის გასწორება - 1 აკადემიურ ჯგუფზე (1 სასწავლო სემესტრის განმავლობაში): ბაკალავრიატში (25-30 სტუდენტი) - **24 სთ**; მაგისტრატურაში (არაუმეტეს 12 სტუდენტი - **9 სთ**, 12 სტუდენტი და მეტი -

**24 სთ**; დოქტორანტურაში - **5 სთ**. სხვა ტიპის ჯგუფებში საგამოცდო დავალების მომზადება/განახლება, გამოცდის ჩატარება/საგამოცდო ნაშრომის გასწორების საათები განისაზღვროს სტუდენტთა რაოდენობის პროპორციულად; **OSCE -ის** გამოცდის მომზადება - **36 საათი;**

მ) სტუდენტთა კონსულტაცია - **3 სთ.** ერთ სრულ აკადემიურ ჯგუფზე სემესტრის განმავლობაში. სხვა ტიპის ჯგუფებში კონსულტაციის საათები განისაზღვროს სტუდენტთა რაოდენობის პროპორციულად;

ნ) მიზნობრივი წერითი ნაშრომის (რეფერატი, მიზნობრივი პროექტი) გასწორება - **0,5 სთ** ერთ ნაბეჭდ თაბახზე. უცხო ენაზე შესრულებული ნაშრომის გასწორება - **1 სთ**. ნაშრომის სხვა მოცულობის შემთხვევაში, საათი განისაზღვრება პირდაპირპროპორციულად;

ო) აკადემიური ჯგუფის (არაუმეტეს ორისა) კურატორობა/ტუტორობა (რექტორის შესაბამისი ბრძანებით დანიშვნის შემთხვევაში) - **30 სთ**;

პ) საწარმოო, სასწავლო, პედაგოგიური, პროფესიული, საველე და ყველა სხვა სახის პრაქტიკის საათების რაოდენობა განისაზღვრება რექტორის ბრძანებით აკადემიური პერსონალის დატვირთვის პარამეტრების გაანგარიშების ნორმების შესახებ;

რ) აკადემიურ პერსონალს უფლება აქვს სასწავლო დატვირთვის ნორმის **(500 საათი)** ზევით შეასრულოს სასწავლო დატვირთვა საათობრივი ანაზღაურების წესით, მაგრამ არა უმეტეს **250 სთ**-სა (მათ შორის: არანაკლებ **180 სთ-სა** სასწავლო-საკონტაქტო და არაუმეტეს **70** სთ-სა სასწავლო-მეთოდური დატვირთვა). ამ საათობრივი განაწილების პირდაპირი პროპორციის დაცვით მოხდეს **250** საათამდე შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება. აღნიშნული **250 ს**საათის შესაბამისი ანაზღაურების არ აღების შემთხვევაში სააათების მოცულობა შეიძლება ჩაითვალოს სამეცნიერო-მეთოდური მუშაობის შესრულებად. **250 საათის** საათობრივი ანაზღაურება დატვირთვის ნორმის **(500 საათი)** ზევით მოხდეს მხოლოდ აღნიშნული ნორმატივის შესრულების შემდეგ, სემესტრული განაწილების გათვალისწინებით;

ჟ) დანართი №1 მე-13 მუხლის „ჟ“ პუნქტით გათვალისწინებული ნორმების ზევით სასწავლო დატვირთვის შესრულების შემთხვევაში, ნორმებს ზევით **(500 სთ + 250 სთ)** შესრულებული სამუშაო ჩაითვლება სამეცნიერო-მეთოდური მუშაობის შემადგენელ კომპონენტად და არ ანაზღაურდება დამატებით;

ს) იმ აკადემიურ პერსონალს (შტატით, ხელშეკრულებით, საათობრივი ანაზღაურების წესით), რომელსაც მუშაობა უხდება არასრულ სამაგისტრო ჯგუფებში (5-ზე ნაკლები) დანართი №1 მე-13 მუხლის „ბ“, „გ“, „დ“, „ლ“, „მ“, „ნ“, „ო“, „პ“ „ჟ“ პუნქტებით გათვალისწინებული ნორმატივები ინდივიდუალურ დატვირთვაში განისაზღვროს შესასრულებელი სასწავლო დატვირთვის 25% , 50% და 75 %-ის ოდენობით, ჯგუფისთვის დადგენილი ნორმატივის პირდაპირ პროპორციულად და სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობის გათვალისწინებით.

ტ) იმ აკადემიურ პერსონალს (შტატით, ხელშეკრულებით, საათობრივი ანაზღაურების წესით), რომელსაც მუშაობა უხდება საბაკალავრო პროგრამებზე არსებულ მცირერიცხოვან ჯგუფებში (15-ზე ნაკლები) დანართი №1 მე-13 მუხლის „ბ“, „გ“, „დ“, „ლ“, „მ“, „ნ“, „ო“,“პ“ „ პუნქტებით გათვალისწინებული ნორმატივები ინდივიდუალურ დატვირთვაში განისაზღვროს ჩასატარებელი საათების 25% , 50% და 75 %-ის ოდენობით, ჯგუფისთვის დადგენილი ნორმატივის პირდაპირ პროპორციულად და სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობის გათვალისწინებით.

უ) ბაკალავრიატში 1-დან - 4 სტუდენტის ჩათვლით ჯგუფი არ შეიქმება. იმ სტუდენტებისათვის რომლებიც ჩაირიცხნენ უნივერსიტეტში პირველ სასწავლო წელს განათლების მეცნიერების მინისტრის ბრძანებით ჯგუფი გაიხნება ერთი სემესტრის განმავლობაში და სემესტრის დასრულების შემდეგ სტუდენტი ისარგებლებს მობილობის წესით აწსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 12 თებერვლის № 47 (14/15) და აწსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 12 თებერვლის № 47 (14/15) და აწსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 5 აპრილის № 41 (18/19), დადგენილებით „უნივერსიტეტში სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, აღდგენის

მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭებისა და მიღებული განათლების აღიარების წესის, საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმების დამტკიცების შესახებ.

ფ) სწავლების კომპონენტების და დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით ჯგუფებში სტუდენტთა სარეკომენდაციო რაოდენობები ყოველ სასწავლო წელს შესაძლებელია განისაზღვროს უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით, ფაკულტეტზე ფაქტობრივად არსებული ფინანსური რესურსის ფარგლებში;

ქ) დეპარტამენტის ხელმძღვანელებმა ინდივიდუალური სასწავლო დატვირთვა აკადემიურ პერსონალზე გაანაწილონ დაკავებული საშტატო განრიგის შესაბამისად აკადემიურ თანამდებობაზე გამოცხადებული კონკურსის შედეგების მიხედვით.

ღ) შტატით მომუშავე იმ აკადემიურ პერსონალს, რომელთაც მუშაობა უხდებათ უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2022 წლის **№ 61 (21/22)** დადგენილების დანართი №1-ის მე-13 მუხლის „ს“ და „ტ“ პუნქტებით გათვალისწინებულ არასრულ ჯგუფებთან, სასწავლო დატვირთვის შესაძლო მოცულობა განისაზღვროს არაუმეტეს **750** საათისა. შრომის ანაზღაურება მოხდეს ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს მიხედვით, აკადემიური პერსონალის სასწავლო-საკონტაქტო დატვირთვის საუნივერსიტეტო ნორმების პირდაპირპროპორციულად.

ყ) ამ დადგენილების №1 დანართის მე-13 მუხლით დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში შესაძლებელია შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება მოხდეს ფაკულტეტზე ფაქტობრივად არსებული ფინანსური რესურსის ფარგლებში, შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით.

შ) ამ დადგენილების დანართი №1-ის მე-13 მუხლის „ტ“ პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნები ძალაში შევიდეს იმ შემთხვევაში, თუ ფაკულტეტზე არსებულ, კონკრეტულ, შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე ირიცხება 60 (სამოცი) სტუდენტზე ნაკლები.

ჩ) განსაკუთრებულ შემთხვევებში, აკადემიური პერსონალის სასწავლო დატვირთვის პარამეტრების განსაზღვრის საკითხი შეთანხმდეს უნივერსიტეტის რექტორთან ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით.

**14. ემერიტუსის სასწავლო დატვირთვა:**

ა) ლექცია-პრაქტიკული და ლაბორატორიული მუშაობის მინიმალური სავალდებულო საათების რაოდენობა - **30 სთ**;

ბ) დოქტორანტის ხელმძღვანელობა - **80 სთ**.

დოქტორანტის თანახელმძღვანელის საათობრივი სარგო განისაზღვრება ხელმძღვანელის წარდგინებისა და აწსუ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 30 ნოემბრის № 35(12/13) დადგენილების საფუძველზე, სადისერტაციო ნაშრომის სპეციფიკის გათვალისწინებით;

გ) მაგისტრანტის ხელმძღვანელობა - **40 სთ**;

დ) სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული სასემინარო ნაშრომისა და კოლოქვიუმის:

დ.1. ხელმძღვანელობა (1 სტუდენტზე) - 30 საათი (მ.შ. სასწავლო -საკონტატო არაუმეტეს **10 საათისა და სასწავლო ორგანიზაციული-არანაკლებ 20 საათისა)**;

დ.2. რეცენზენტობა (1 სტუდენტზე) **- 15 სთ.**

დ.3. კოლოქვიუმის რეცენზირება (1 სტუდენტზე) -**25 სთ;**

ე) საგამოცდო დავალების მომზადება/განახლება, გამოცდის ჩატარება/საგამოცდო ნაშრომის გასწორება - 1 აკადემიურ ჯგუფზე (1 სასწავლო სემესტრის განმავლობაში): ბაკალავრიატში (25-30 სტუდენტი) - **24 სთ**; მაგისტრატურაში (არაუმეტეს 12 სტუდენტი - **9 სთ**, 12 სტუდენტი და მეტი - **24 სთ**; დოქტორანტურაში - **5 სთ**., **OSCE -ის** გამოცდის მომზადება - **36 საათი;**

ვ) სტუდენტთა კონსულტაცია - **3 სთ** ერთ სრულ აკადემიურ ჯგუფზე სემესტრის განმავლობაში. სხვა ტიპის ჯგუფებში კონსულტაციის საათები განისაზღვროს სტუდენტთა რაოდენობის პროპორციულად;

ზ) მიზნობრივი წერითი ნაშრომის (რეფერატი, მიზნობრივი პროექტი) გასწორება - **0,5 სთ**. ერთ ნაბეჭდ თაბახზე. უცხო ენაზე შესრულებული ნაშრომის გასწორება - **1 სთ.** ნაშრომის სხვა მოცულობის შემთხვევაში, საათი განისაზღვრება პირდაპირპროპორციულად;

თ) მე-14 მუხლის „ა“ პუნქტით გათვალისწინებული ნორმების ზევით სასწავლო დატვირთვის შესრულების შემთხვევაში, ნორმებს ზევით შესრულებული სამუშაო ჩაითვლება სამეცნიერო-მეთოდური მუშაობის შემადგენელ კომპონენტად და არ ანაზღაურდება დამატებით. განსაკუთრებულ შემთხვევაში ამ დადგენილების მე-2 მუხლის 2.3. პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული სამუშაოს სრულად შესრულების შემთხვევაში შესაძლებელია შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება მოხდეს ფაკულტეტზე ფაქტობრივად არსებული ფინანსური რესურსის ფარგლებში, შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით.

ი) ემერიტუსს, რომელსაც მუშაობა უხდება არასრულ სამაგისტრო ჯგუფებში (5-ზე ნაკლები) დანართი №1 მე-13 მუხლის „ბ“, „გ“, „დ“, „ლ“, „მ“, „ნ“, „ო“, „პ“ „ჟ“ პუნქტებით გათვალისწინებული ნორმატივები ინდივიდუალურ დატვირთვაში განისაზღვროს შესასრულებელი სასწავლო დატვირთვის **25% , 50% და 75 %-ის** ოდენობით, ჯგუფისთვის დადგენილი ნორმატივის პირდაპირ პროპორციულად და სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობის გათვალისწინებით.

კ) ემერიტუს, რომელსაც მუშაობა უხდება საბაკალავრო პროგრამებზე არსებულ მცირერიცხოვან ჯგუფებში (15-ზე ნაკლები) დანართი №1 მე-13 მუხლის „ბ“, „გ“, „დ“, „ლ“, „მ“, „ნ“, „ო“,“პ“ პუნქტებით გათვალისწინებული ნორმატივები ინდივიდუალურ დატვირთვაში განისაზღვროს ჩასატარებელი საათების **25% , 50% და 75 %-ის** ოდენობით, ჯგუფისთვის დადგენილი ნორმატივის პირდაპირ პროპორციულად და სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობის გათვალისწინებით. ამ შემთხვევაში დამატებითი პირობები განისაზღვრება ამ დადგენილების №1 დანართის მე-13 მუხლის „შ“ პუნქტით.

ლ) ბაკალავრიატში 1-დან 4 სტუდენტის ჩათვლით ჯგუფის შექმნის პირობები განისაზღვრება ამ დადგენილების მე-13 მუხლის „უ“ პუნქტით.

მ) ამ დადგენილების №1 დანართის მე-13 მუხლით დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში შესაძლებელია შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება მოხდეს ფაკულტეტზე ფაქტობრივად არსებული ფინანსური რესურსის ფარგლებში, შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით.

ნ) განსაკუთრებულ შემთხვევებში, ემერიტუსის სასწავლო დატვირთვის პარამეტრების განსაზღვრის საკითხი შეთანხმდეს უნივერსიტეტის რექტორთან ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით.

**15. მასწავლებლის სასწავლო დატვირთვა:**

ა) მასწავლებლის სასწავლო დატვირთვის წლიური მოცულობა განისაზღვროს **600 სთ** ოდენობით.

ბ) სასემინარო, პრაქტიკული და ლაბორატორიული მუშაობის მინიმალური სავალდებულო საათების რაოდენობა - **420 სთ**;

გ) საგამოცდო დავალების მომზადება/განახლება, გამოცდის ჩატარება/საგამოცდო ნაშრომის გასწორება - 1 აკადემიურ ჯგუფზე (1 სასწავლო სემესტრის განმავლობაში): ბაკალავრიატში (25-30 სტუდენტი) –24 საათი; მაგისტრატურაში (არაუმეტეს 12 სტუდენტი - 9 საათი, 12 სტუდენტი და მეტი – 24 საათი.

დ) სტუდენტთა კონსულტაცია - 3 საათი ერთ სრულ აკადემიურ ჯგუფზე სემესტრის განმავლობაში. სხვა ტიპის ჯგუფებში კონსულტაციის საათები განისაზღვროს სტუდენტთა რაოდენობის პროპორციულად;

ე) მასწავლებელს, რომელსაც მუშაობა უხდება არასრულ სამაგისტრო ჯგუფებში (5- ზე ნაკლები)დანართი №1 მე-13 მუხლის „ბ“, „გ“, „დ“, „ლ“, „მ“, „ნ“, „ო“, „პ“ „ჟ“ პუნქტებით გათვალისწინებული ნორმატივები ინდივიდუალურ დატვირთვაში განისაზღვროს შესასრულებელი სასწავლო დატვირთვის **25% , 50% და 75 %-ის** ოდენობით, ჯგუფისთვის

დადგენილი ნორმატივის პირდაპირ პროპორციულად და სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობის გათვალისწინებით.

**ვ)** მასწავლებელს,რომელსაც მუშაობა უხდება საბაკალავრო პროგრამებზე არსებულ მცირერიცხოვან ჯგუფებში (15-ზე ნაკლები) დანართი №1 მე-13 მუხლის „ბ“, „გ“, „დ“, „ლ“, „მ“, „ნ“, „ო“,“პ“ პუნქტებით გათვალისწინებული ნორმატივები ინდივიდუალურ დატვირთვაში განისაზღვროს შესასრულებელი სასწავლო დატვირთვის **25%, 50% და 75 %-ის** ოდენობით, ჯგუფისთვის დადგენილი ნორმატივის პირდაპირ პროპორციულად და სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობის გათვალისწინებით. დამატებითი პირობები განისაზღვრება ამ დადგენილების №1 დანართის მე-13 მუხლის „შ“ პუნქტით.

ზ) ბაკალავრიატში **1-დან - 4 სტუდენტის** ჩათვლით ჯგუფის შექმნის პირობები განისაზღვრება ამ დადგენილების დანართი №1 მე-13 მუხლის „უ“ პუნქტით.

თ) მასწავლებელს უფლება აქვს მე-15 მუხლის „ა“ პუნქტით განსაზღვრული ნორმის ზევით შეასრულოს სასწავლო დატვირთვა **250** საათის მოცულობით, რომელზეც ვრცელდება იგივე მოთხოვნები, რაც განსაზღვრულია აკადემიური პერსონალისათვის დანართი №1 მე-13 მუხლის „ჟ“, „რ“, „ს“, „ტ“, პუნქტებით;

ი) ამ დადგენილების №1 დანართის მე-13 მუხლით დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში შესაძლებელია შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება მოხდეს ფაკულტეტზე ფაქტობრივად არსებული ფინანსური რესურსის ფარგლებში, შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით.

16. **ხელშეკრულების საფუძველზე მოწვეული სპეციალისტების სასწავლო და დატვირთვა:**

ა) ხელშეკრულებით მოწვეული სპეციალისტის დატვირთვის წლიური მოცულობა განისაზღვროს 1000 საათის ოდენობით-( **მ.შ. 500 სთ** სასწავლო დატვირთვა, მ.შ. **500 სთ** სამეცნიერო და მეთოდური მუშაობა).

ბ) ხელშეკრულებით მოწვეული სპეციალისტის უფლება აქვს დანართი №1 მე-16 მუხლის „ა“ პუნქტით განსაზღვრული ნორმის ზევით შეასრულოს სასწავლო დატვირთვა **250** საათის მოცულობით, რომელზეც ვრცელდება იგივე მოთხოვნები, რაც განსაზღვრულია აკადემიური პერსონალისათვის დანართი №1 მე-13 მუხლის „ჟ“, „რ“, „ს“, „ტ“ , პუნქტებით;

გ) ლექცია-პრაქტიკული და ლაბორატორიული სამუშაოს შესასრულებელი საათების მინიმალური სავალდებულო ნორმა ხელშეკრულებით მოწვეული სპეციალისტისათვის განისაზღვროს - **300 საათის** (აკადემიური ხარისხის მქონე პირებისათვის) ან **330 საათის** (აკადემიური ხარისხის არმქონე პირებისათვის) ოდენობით.

დ) ხელშეკრულების საფუძველზე მოწვეულ სპეციალისტებს, რომელსაც მუშაობა უხდება საბაკალავრო პროგრამებზე არსებულ მცირერიცხოვან ჯგუფებში (15-ზე ნაკლები) დანართი №1 მე-13 მუხლის „ბ“, „გ“, „დ“, „ლ“, „მ“, „ნ“, „ო“,“პ“ „ პუნქტებით გათვალისწინებული ნორმატივები ინდივიდუალურ დატვირთვაში განისაზღვროს ჩასატარებელი საათების **25%, 50% და 75 %-ის** ოდენობით, ჯგუფისთვის დადგენილი ნორმატივის პირდაპირ პროპორციულად და სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობის გათვალისწინებით. დამატებითი პირობები განისაზღვრება ამ დადგენილების №1 დანართის მე-13 მუხლის „შ“ პუნქტით.

ე) ხელშეკრულების საფუძველზე მოწვეულ სპეციალისტს, რომელსაც მუშაობა უხდება არასრულ სამაგისტრო ჯგუფებში (5-ზე ნაკლები) დანართი №1 მე-13 მუხლის „ბ“, „გ“, „დ“, „ლ“, „მ“, „ნ“, „ო“, „პ“ „ჟ“ პუნქტებით გათვალისწინებული ნორმატივები ინდივიდუალურ დატვირთვაში განისაზღვროს შესასრულებელი სასწავლო დატვირთვის **25% , 50% და 75 %-ის** ოდენობით, ჯგუფისთვის დადგენილი ნორმატივის პირდაპირ პროპორციულად და სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობის გათვალისწინებით.

ვ) ბაკალავრიატში 1-დან - 4 სტუდენტის ჩათვლით ჯგუფის შექმნის პირობები განისაზღვრება ამ დადგენილების დანართი №1 მე-13 მუხლის „უ“ პუნქტით.

ზ) სპეციალისტის მოწვევის საკითხი შეთანხმდეს რექტორთან ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით.

თ) განსაკუთრებულ შემთხვევებში, ცალკეული პირის (მ.შ. განსაკუთრებული რანგით) წლიური დატვირთვის მოცულობა (ამ დადგენილებით განსაზღვრული ნორმებისადმი პირდაპირი პროპორციის გათვალისწინებით) შეთანხმდეს რექტორთან ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით.

ი) ხელშეკრულება ფორმდება მხოლოდ ერთი სასწავლო წლის ფარგლებში.

17. **სხვა აქტივობები:** ამ წესით გაუთვალისწინებელი ნებისმიერი სხვა აქტივობა, რომელიც ემსახურება აწსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებას - სულ **120** საათი -სათანადო დოკუმენტაციის (ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილება, დეკანის ბრძანება, დეპარტამენტის სხდომის გადაწყვეტილება) წარმოდგენის შემთხვევაში.

18. ძალადაკარგულად ჩაითვალოს აკადემიური საბჭოს დადგენილებები: 2019 წლის 10 ივნისის № 65 (18/19) დადგენილება, 2019 წლის 12 სექტემბრის № 2 (19/20), 2020 წლის № 48 (19/20) დადგენილება - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის, ემერიტუსის, მასწავლებლის და ხელშეკრულებით მოწვეული სპეციალისტების წლიური სასწავლო და სამეცნიერო-მეთოდური დატვირთვის ნორმების დამტკიცების შესახებ.

19. დადგენილების მე-4 მუხლის 4.2.პუნქტი გავრცელდეს 2022-2023 სასწავლო წლიდან.